



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 71
26/06/2017

71-03-4-201706261327



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებლის ნინო გოგუაძისა და ამავე საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირინე საჯაიას
სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი
მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის
30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ნინო გოგუაძე და ამავე საკრებულოს სამანდატო-
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირინე საჯაია
მივლინებულ იქნას ქალაქ ბათუმში, გონიოში გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს მიერ
დაგეგმილ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად, 2017 წლის 26 ივნისიდან 29 ივნისის
ჩათვლით.


2. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების

განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა